

ვალერიან მატოველი  
გიორგი დავითაშვილი

პოლიტიკურ და  
სამართლებრივ  
მოძღვრებათა  
ცეტრისა

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

## §8. პოლიბიოსის პოლიტიკური შეხედულებანი

პოლიბიოსი მოღვაწეობდა ძველი ბერძნული სახელმწიფოების დაქვეითების პერიოდში. იგი დაიბადა III საუკუნის დასასრულს ჩვ. წ. აღ-მდე და გარდაიცვალა II საუკუნის მეორე ნახევარში. პოლიბიოსის ეკუთვნის შრომა „მსოფლიოს ისტორია”. პოლიბიოსი იკვლევს საზოგადოების განვითარებას. იგი გამოთქვამს მოსაზრებას საზოგადოების ციკლური ანუ წრიული განვითარების შესახებ. მისი აზრით, საზოგადოება ვითარდება, მიაღწევს გარკვეულ წერტილს, რის შემდეგაც თავის პირვანდელ ფორმას უძრუნდება და ა.შ. პოლიბიოსი მიუთიერებს, რომ ყოველი სახელმწიფო განიცდის აღმოცენება-განვითარებას, აყვავებასა და დაცემას. ამ გადასვლებს თან ახლავს სახელმწიფოს ფორმათა ცვალებადობა. პოლიბიოსი ასე აყალიბებს სახელმწიფო ფორმების ცვალებადობას: პირველად ყალიბდება მონარქია, რომელსაც ცვლის ტირანია და რომელიც ძალადობით ხასიათდება. ტირანიას ცვლის არის ტოკრატია, ხოლო არის ტოკრატია, პოლიბიოსის აზრით, სახელმწიფოს აყვავების მაჩვენებელია. მაგრამ შემდეგში ადამიანთა ზნეობის დაქვეითების გამო არის ტოკრატიას ოლიგარქია ცვლის, რომელშიც სახელმწიფოს ერთი მუჭა მდიდრები განაგებენ. ასევე ოლიგარქიას ცვლის დემოკრატია. მისი აზრით, დემოკრატია არის სახელმწიფოს რღვევის მაჩვენებელი იმ მხრივ, რომ, მართალია, თავდაპირველად ხალხის ფართო მასები განაგებენ სახელმწიფოს, მაგრამ შემდგომ სხვის ხარჯზე ცხოვრებას მიჩვეული ბრძო ირჩევს ბელადად ჰატივმოვარე პიროვნებას, დემაგოგს, თვითონ კი განზე დგება საზოგადოების მართვისაგან. საბოლოოდ დემოკრატია გადაგვარდება ოხლოკრატიად. ზემოთ აღნიშნულის გარდა პოლიბიოსი გამოთქვამს მოსაზრებას ე.წ. სახელმწიფოს „შერეული” ფორმის შესახებ, რომელიც შეიცავს მონარქიის, არის ტოკრატიისა და დემოკრატიის ელემენტებს.

ეს იყო პირველი დარტყმები ქურუმთა მონოპოლიაზე სამართლის სფეროში. ამის შემდეგ რომის იურიდიული მეცნიერება ფორმალიზმისა და სქოლასტიკისაგან განთავისუფლებას იწყებს.

III- I საუკუნეებში რომის საზოგადოებაში ადგილი აქვს ცვლილებებს. რომი ხმელთაშუა ზღვის აუზში დაპყრობათა შედეგად გადაიქცა მეტად ვრცელ იმპერიად. ამასთან, რომის იმპერიაში ადგილი აქვს ბრძოლას, როგორც თვით რომაელთა შორის, ისე რომაელთა და დაპყრობილ მოსახლეობას შორის (ამ უკანასკნელთა შორის რომაელები ატარებდნენ პოლიტიკას *divide et impera* - „დაყავი და იბატონე”). დღის წესრიგში დადგა რესპუბლიკური წყობის შეცვლა ისეთი წყობით, რაც საშუალებას მისცემდა გაბატონებულ ფენებს შეენარჩუნებინათ თავისი პრივილეგიური მდგომარეობა. სწორედ ამის გამო რომში მყარდება ახალი სახელმწიფოებრივი წყობა - პრინციპატი, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს მონარქიას და რომელმაც ჩა. წ. აღ-ით I საუკუნის დასასრულიდან III საუკუნის ჩათვლით იარსება. პრინციპატი რესპუბლიკის ფორმით შენიდბული მონარქია იყო.

I-II ს-ის რომის იმპერია მეტად ფართოვდება. მიუხედავად ამისა, მონათმფლობელთათვის მონების ექსპლოატაცია არახელსაყრელი ხდება, რის გამოც გარკვეული პირობით აძლევენ ამ უკანასკნელთ მიწებს.

აღნიშნულ პერიოდში რომის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ციცერონის, აგრეთვე რომაელი იურისტების, რომაელი სტოელების მოსაზრებებს სახელმწიფოსა და სამართალზე.

## §2. ციცერონის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

ციცერონი იყო გამოჩენილი რომაელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე (106-43 წწ.). მისი შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე ჩამოყალიბებულია შრომებში: 1) „სახელმწიფოს შესახებ”; 2) „კანონების შესახებ”; 3) „მოვალეობათა შესახებ”.

სახელმწიფოს შესახებ ციცერონის მოძღვრებას საფუძვლად უდევს პლატონის, არისტოტელეს, პოლიბიოსისა და სტოელების თეორიული მო-

საჩრებანი, მაგრამ ციცერონი მარტი ბერძენ ფილოსოფოსთა მიმდევარი როდია, მაა აგრეთვე შემოიტანა ბერძენ ფილოსოფოსთათვის ჯერ კიდევ უცნობი იურიდიული დებულებები, როგორიცაა მაგ., მოქალაქენი, როგორც სამართლის სუბიექტები და სახელმწიფო, როგორც ურთიერთობის სუბიექტი.

ციცერონი სახელმწიფოს განმარტავს, როგორც ხალხის საქმეს (res publica), მაგრამ ხალხად მას მიაჩნია ადამიანთა არა ყოველგვარი ერთობა. ხალხი, მისი აზრით, წარმოადგენს ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ერთობასა და საერთო სარგებლიანობაზე. ციცერონით აზრით, სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე. იგი არ ეთანხმება მათ, ვინც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ემყარება ძალმომრეობას. ციცერონი მიუთითებს, რომ თუ ხელისუფლება ეფუძნება ძალადობასა და თვითხებობას, მაშინ ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო. ციცერონი უარყოფს სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების თეორიასაც. ციცერონი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ემხრობა არისტოტელეს, ამ უკანასკნელის აზრით კი, სახელმწიფო არის შედეგი იმისა, რომ ადამიანებს ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვევა აქვთ. ციცერონის აზრით, ყველა სახელმწიფოს დანიშნულებაა მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დაცვა, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი დანიშნულება პირადი საკუთრების დაცვაა.

რაც შეეხება ციცერონის შეხედულებას სახელმწიფოს ფორმებზე, ის იჩიარებს პოლიბიოსის შეხედულებას და უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს შერეულ ფორმას.

სამართლის არსის საკითხში ციცერონი ემხრობა ბერძენ ფილოსოფოსთა, კერძოდ, სტოლების შეხედულებას და ასაბუთებს, რომ პოტიტიური სამართალი ბუნებითი სამართლის შედეგია.

ციცერონი სამართლის არსის ჭვრეტდა გონიერებაში. ციცერონი კატეგორიულად აცხადებდა, რომ თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები ეწინააღმდეგებიან სამართლიანობას, მაშინ ისინი არ წარმოადგენენ კანონებს. ციცერონი რომის პოტიტიურ სამართალს ბუნებითი სამართლის ნაწილად თვლის, თუმცა მასში, მისი აზრით, ისეთი კანონებიცაა, რომელიც სამართლიანობას ეწინააღმდეგება.

საჭიროა აღვნიშნოთ ასევე ციცერონის შეხედულებანი საერთაშორი-

სო სამართალზეც. ციცერონი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს. უსამართლო ომები, მისი აზრით, ისეთი ომებია, რომელიც წარმოებს უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად.

ამრიგად, ციცერონს, ბერძენ ფილოსოფოსებთან შედარებით, გააჩნია წინგადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში იმ მხრივ, რომ მან შემოიტანა მეტად მნიშვნელოვანი იურიდიული დებულებები, რომლებიც არ ჰქონია ბერძენ მოაზროვნებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციცერონს მოღვაწეობა მოუხდა რომის ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც რესპუბლიკა კრიზისს განიცდიდა და იგი ნელ-ნელა მონარქიულ წყობაზე გადადიოდა. სწორედ ასეთმა პერიოდმა განაპირობა ციცერონის არათანმიმდევრობა და წინააღმდეგობები, თუნდაც სახელმწიფოს ფორმების საკითხში. ციცერონი ცნობს ე.წ. სახელმწიფოს „შერეულ” ფორმას, ასევე იგი მომხრეა ისეთი სახელმწიფო წყობილებისა, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება გადაეცემოდა სახელმწიფოს გადამრჩენელს და რომელსაც იმდინ შეხედავდნენ, როგორც სენატის წევრები, ისე სხვებიც. ციცერონის ამ სიტყვებიდან შეკარად ჩანს მონარქიისადმი მხარდაჭერა.

### §3. რომაელ სტოელთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

რომაული სტოიციზმის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ სენეკა (3-65 წწ.), ეპიქტეტე (დაახ. 50-140 წწ.) და მარკუს ავრელიუსი (121-180 წწ.).

სენეკა იყო სენატორი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი და წამყვანი სახელმწიფო მოღვაწე. მისმა პოლიტიკურმა ინტრიგებმა იგი, საბოლოო ჯამში, მიიყვანა იძულებით თვითმკვლელობამდე, თავისი სასტიკი მოწაფის ბრძანებით.

იგი სხვა სტოელებთან შედარებით უფრო თანამიმდევრულად იცავდა ყველა ადამიანის სულიერი თავისუფლების იდეას, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად. მისი აზრით, მონობის ობიექტი (და სფერო) შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის სხეული, მესი გრძნობადი ნაწილი და არა სულიერი. იგი აღნიშნავდა, რომ მონობა ვრცელდება ~~ასო~~ მთელ

პიროვნებაშე, მისი საუკეთესო ნაწილი თავისუფალია მონობისაგან, მხოლოდ სხეული ემორჩილება და ეკუთვნის ბატონს, ხოლო სული საკუთარი თავის ძეუფეა.

სენეკას მიხედვით, მონა უთანასწორდება სხვა ადამიანებს და მისთვის დამახასიათებელია იგივე სულიერი თვისებები, რაც ყველა სხვისთვის. ფილვა-გაყიდვა ეხება მხოლოდ მონის სხეულს, მაგრამ არა მის თავისუფალ სულს. სენეკა არ უარყოფს მონბას, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტს. თუმცა იცავს მონის ადამიანურ ღირსებას და მის მიმართ პუმანურ დამოკიდებულებას ქადაგებს.

ყველა ადამიანი თანასწორია იმ გაგებით, რომ ისინი ერთნაირად იმ-ჭოფებიან ბედისწერის გავლენის ქვეშ: „ჩვენ მათ მონებად ვთვლით, მაგრამ ისინიც კაცნი არიან; ჩვენ მათ მონებად ვთვლით, მაგრამ ისინი ჩვენი ცხოვრების თანამოზიარენი არიან; ხოლო თუ დაუფიქრდები იმას, რომ ყველას თანაბრად გვათამაშებს ბედისწერა, შენ ნახავ, რომ ისინი ჩვენი მონბის-მიერი თანამოძმენი არიან”. ასე რომ რომაულმა სტოიკიზმა პირველად შეხედა მონას, როგორც სრულფასოვან ადამიანს.

სენეკა ბედისწერას თვლიდა ყველა მიზეზთა მიზეზად. ადამიანებს არ ძალუდო შეცვალონ ურთიერთობანი. მათ შეუძლიათ მხოლოდ ვაჟაცურად გადაიტანონ ის, რასაც ბედისწერა მოუვლებს. სენეკას ბუნებით-სამართლებრივ კონცეფციაში „ბედისწერის კანონი” ასრულებს იმ ბუნებითი სამართლის როლს, რომელსაც ექვემდებარება ყველა ადამიანური დადგენილებანი, მათ შორის - სახელმწიფო და კანონები.

სამყარო, სენეკას თანახმად, არის ბუნებითი სახელმწიფო თავისი ბუნებითი სამართლით.

ამ სახელმწიფოს წევრებად ბუნებითი კანონით ითვლება ყველა ადამიანი, აღიარებენ ისინი ამას თუ არა. რაც შეეხება ცალკეულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, ისინი შემთხვევითი არიან და მნიშვნელობა აქვთ არა მთელი კაცობრიობისათვის, არამედ ადამიანთა შეზღუდული რაოდენობისთვის; იგი წერდა: „ჩვენ წარმოსახვაში უნდა წარმოვიდგინოთ ორი სახელმწიფო ნაერთი, რომელიც თავის თავში მოიცავს ღმერთებსა და ადამიანებს, მასში ჩვენი თვალსაწიერი შემოსაზღვრული არ არის მიწის ამა თუ იმ კუთხით. ჩვენი სახელმწიფოს სახლვრებს ეზომავთ მზის მოძრაობით, მეორე ის სახელმწიფოს, რომელიც ჩვენ შემთხვევით მოგვეწერა.

ეს მეორე სახელმწიფო შეიძლება იყოს ათენი ან კართაგენი, ან რომელიმე სხვა ქალაქი. ეს სახელმწიფო უკედა ადამიანს არ ეხება, არამედ ადამიანთა მარტო გარკვეულ ჯგუფს. არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ერთ-სა და იმავე დროს ემსახურებიან დიდ სახელმწიფოსაც და მცირესაც, არიან ისეთიც, ვინც მარტო დიდს ემსახურებიან და ისეთებიც, ვინც მხოლოდ მცირეს მსახურობენ”.

მსგავს იდეებს ავითარებდა ასევე რომის იმპერატორი ანტონინუსთა დინასტიიდან. ეს იყო მარკუს ავრელიუსი. თავის თხზულებაში „ფიქრები” იგი ავითარებს იდეას სახელმწიფოს შესახებ, რომლის თანახმადაც მისი მართვა თანასწორობის, თანასწორუფლებიანობის პრინციპებით უნდა ხდებოდეს და რომლისთვისაც უმთავრესია ქვეშევრდომთა თავისუფლება.

#### §4. რომაელი იურისტების პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი

ქველი რომის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ რომაელ იურისტებს. რომაელ იურისტებს კონსულტაციებისათვის მიმართავდნენ ~~როგორც~~ კერძო, ისე თანამდებობის პირებიც, თვით იმპერატორის ჩათვლით. რომაელ იურისტთა კონსულტაციებს ანუ სახელმძღვანელო განმარტებებს სავალდებულო ძალა მიენიჭა. რომაელ იურისტებს ხშირად საპასუხისმგებლო პოსტები ეკავათ. ასე მაგ., ულაზანე და პაკიანე პრეტორის პრეფექტები, ანუ იმპერატორის შემდეგ პირველი პირები იყვნენ.

რომის იურისპრუდენციამ თავისი განვითარების უმაღლეს დონეს პრინციპატის დროს (I-III სს. ჩვენი წ. აღ-ით) მიაღწია. პრინციპატი ფაქტობრივად მონარქიულ წყობილებას წარმოადგენდა, რომელიც რესპუბლიკურ საბურველში იყო გახვეული.

რომაელი იურისტები პრაქტიკულ საკითხებთან ერთად ცდილობდნენ გადაეჭრათ სამართლის ზოგადი თეორიის საკითხებიც. მაგ., მონობისა და კოლონატის, იურიდიულად დაესაბუთებინათ კერძო საკუთრების სამართლიანობა, გაერკვიათ ვალდებულებათა არსი და სახეები, ჩამოეყალიბებინათ ფიზიკურ პირთა შესახებ მოძღვრება და სხვ. როდესაც შეიქმნა უზარმაზარი რომის იმპერია, რომაელი იურისტები ცდილობდნენ მათ მიერ

შექმნილი სახელმწიფო სამართლის მეშვეობით დაესაბუთებინათ რომაელი იმპერატორთა შეუზღუდველი ხელისუფლების სამართლიანობა.

რომაელმა იურისტებმა მოგვცეს სამართლის დაყოფა სამ ნაწილად:

1) ბუნებითი სამართალი; 2) ხალხთა სამართალი; 3) ცივილური სამართალი.

რომაელი იურისტების აზრით, ბუნებითი სამართალი არის ის სამართალი, რომელიც გამომდინარეობს ბუნებიდან და აწესებს არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა ქცევის წესებსაც.

ხალხთა სამართალი რომაელი იურისტების მითითებით - ეს ის სამართალია, რომლითაც რეგულირდებოდა რომის იმპერიაში შემავალი არარომატელი მოსახლეობის სხვადასხვა სახის ურთიერთობები.

ხალხთა სამართალი გამომდინარეობდა ბუნებითი გონიდან და უნივერსალური ხასიათი ჰქონდა, იყი თანასწორად ემსახურებოდა და გამოიყენებოდა სავაჭრო ურთიერთობის ყველა მონაწილის მიერ.

ცივილურ სამართალს ისინი უწოდებდნენ იმ დადებით (პოზიტიურ) სამართალს, რომელიც შედგენილი იყო მხოლოდ რომაელ მოქალაქეთა-თვის. ცივილური სამართლით რეგულირდებოდა რომის მოქალაქეთა მრავალმხრივი ურთიერთობები.

რომაელი იურისტები ცდილობდნენ განესაზღვრათ იურიდიული ნორმა, მოეცათ სამართლის წყაროების კლასიფიკაცია.

პირველად რომაელმა იურისტებმა (ულპიანე) შემოიღეს სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად. საჯარო სამართლად მიჩნეული იყო ყველაფერი ის, რაც ეხებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი - იცავდა და არეგულირებდა კერძო პირთა (persona) ურთიერთობებს.

რომაელმა იურისტმა პაულიუსმა დაამუშავა სამართლის სუბიექტობისა და უფლებაუნარიანობის პრობლემები.

რომის იურისპრუდენციაში მეტად მწვავედ დაისვა მონობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი. ცნობილი რომაელი იურისტი გაიუსი ადასტურებდა, რომ, როდესაც ვიზილავთ სამართლის სუბიექტობის საკითხს, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, რომ ერთნი არიან მონები, მეორენი კი - თავისუფალნი. მხოლოდ თავისუფალი რომალი მოქალაქე ითვლებოდა სამართლის სუბიექტად. გაიუსი ამ მდგომარეობას უცვლელად და მუდმივად თვლიდა. ამასთან, მონებს ნივთებს მი-

აკუთვნებდა და არ თვლიდა მათ სამართლის სუბიექტებად.

ამ საკითხში რომაელ იურისტებს აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი აკრიტიკებდა მოსაზრებას, რომელიც მონებს ნივთებთან ათანაბრებდა.

რომაელმა იურისტებმა საფუძვლიანად დაამუშავეს კერძო საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისას მათ შორის გათიშვა მოხდა. ეს გათიშვა კარგად ჩანს რომაელ იურისტთა ორი სკოლის მოძღვრებაში, კერძოდ, 1) საბინუსი-ანელთა და 2) პროკულუსიანელთა მოძღვრებებში.

საბინუსიანელები პრინციპატის მომხრები არიან, ხოლო პროკულუსიანელები კი - რესპუბლიკისა. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი ასევე შრომის საკითხზე. საბინუსიანელთა აზრით განმსაზღვრელი არის საკუთრება და არა შრომა, მშინ, როდესაც პროკულუსიანელები შრომას ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. რომაელ იურისტთა მოძღვაწეობამ უდიდესი საშახური გაუწია შემდგომი პერიოდის იურისპრუდენციას.

## §5. ავგუსტინეს კოლიტიკური შეხედულებანი

რომში III-IV საუკუნეებში მიმდინარეობს მონათმფლობელური წყობილების რღვევა, რასაც მოჰყვება ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება. არსებული მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნების მიზნით გაბატონებული ფეხები ატარებენ მთელ რიგ რეფორმებს სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის დარგში.

III საუკუნეში რომში მყარდება სამხედრო ბიუროკრატიული მონარქია, მონარქის შეუზღუდავი ხელისუფლებით (დომინანტი). რომის იმპერიის დაცემის ეპოქაში მეტად დიდი მოვლენა იყო ქრისტიანული რელიგიის აღიარება რომის იმპერატორების მიერ (313 წ.) და მისი ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება. ქრისტიანობის პოლიტიკური დოქტრინა დასრულებული სახით ჩამოყალიბებულია ნეტარი ავგუსტინეს (354-430) შრომები. ავგუსტინე ცხოვრობდა ჩრდილოეთ აფრიკაში. აქ იგი ეპისკოპოსად იყო. მისი ძალითადი ნაშრომია „ღვთიური ქალაქის უსახებ”, სადაც ჩამოყალიბებულია მოძღვრება ორი ქალაქის შესახებ. ამ ნაშრომში

ავგუსტინე ასაბუთებდა ადამიანთა აუცილებელ მორჩილებას ეკლესიისადმი, იგი მიუთითებდა, რომ მართალია, ადამიანი თავისუფალი იბადება და მას გააჩნია თავისუფლება, მაგრამ ეს გამოიხატება მხოლოდ მისწრაფებაში ჩაიღინოს ცოდვები. ცოდვებისაგან ხსნა, მისი აზრით, შეიძლება ღმერთის წყალობით, რომელსაც ღმერთი აძლევს არა ყველას, არამედ რჩეულთ. ავგუსტინე აზრით, საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა: რჩეულებად და განწირულებად. საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფა დაედო საფუძვლად ავგუსტინე მოძღვრებას სახელმწიფოსა და სამართალზე.

ავგუსტინე აზრით, სახელმწიფო არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი კავშირით. ავგუსტინე ორგვარ ქალაქს, სახელმწიფოს იცნობს, კერძოდ, მიწიერსა და ღვთაებრივს. მიწიერი სახელმწიფო, მისი აზრით, არის მხოლოდ ძალადობის, ძალის გამოხატულება და არაფრით არ განსხვავდება იგი ყაჩაღთა ბრძოსაგან.

ავგუსტინე აზრით, მხოლოდ ღვთაებრივი სახელმწიფო, ანუ ეკლესია არის ჭეშმარიტად სიმართლის გამტარებელი და დამცველი. ავგუსტინე ცდილობს დაასაბუთოს, რომ კაცობრიობის ისტორია ზემოთ აღნიშნული ორი სახელმწიფოს განვითარების ისტორიაა.

ავგუსტინე აქვს შეხედულებები მონობის შესახებაც. მისი აზრით, თუმცა მონობა უსამართლობაა, მაგრამ იგი დაწესებულია ცოდვების საზღაურად, ღმერთის მიერ და ამიტომ მან უნდა იარსებოს. ავგუსტინე მოთხოვს, რომ სახელმწიფო ემსახურებოდეს ეკლესიას, მკაცრად სჯიდეს საეკლესიო წესების დამრღვევთ, ერეტიკოსებს და სხვ.

ავგუსტინე თეორია შემდგომში რომაული კათოლიკური ეკლესიის მიერ საერო ფეოდალებთან საბრძოლველად იქნა გამოყენებული.

ერეტიკოსებთან საბრძოლველად ექლესია სპეციალურ თეორიულ დებულებებს აყალიბებს. მაგალითად, ჩამოყალიბდა დომინიკანელთა ორდენი 1216 წ. დომინიკანელები ღვთისმეტყველების სპეციალისტებად გამოდიან, რომლებიც უნივერსიტეტებში ღვთისმეტყველების კათედრებს იყვანებნ და ერეტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგებენ. ერესები XVI საუკუნის რეფორმაციის ერთგვარ წინამორბედებად გვევლინებიან.

## §2. თომა აკვინელის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

თომა აკვინელი (1224-1274) არის შუასაუკუნეობრივი ღვთისმეტყველებისა და სქოლასტიკის უდიდესი წარმომადგენელი. აღნიშნულ პერიოდში სქოლასტიკის ძირითადი დანიშნულება იყოს ექლესის ავტორიტეტთა მეშვეობით და ესაბუთებინა რელიგიურ დოგმატთა ჭეშმარიტება და სამართლიანობა. სქოლასტიკოსები ამისთვის იყენებდნენ ქრისტიანობას და ანტიკურ მოაზროვნეთა მოძღვრებებს, განსაკუთრებით კი არისტოტელეს მოძღვრებებს, ეს უკანასკნელი მე-13 საუკუნიდან სქოლასტიკოსთა უდიდესი ავტორიტეტია.

თომა აკვინელის ამოსავალი დებულების მიხედვით გონიერი უნდა ემორჩილებოდეს რწმენას, ე.ი. განმსაზღვრელია რწმენა. მისი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე მოცემულია შრომები, კერძოდ, „მთავართა მართვის შესახებ”, „ღვთისმეტყველებათა სუმა” და „კომენტარიები არისტოტელეს „პოლიტიკასა” და „ეთიკაზე”.

თომა აკვინელი ამართლებს მონობას. იგი იმოწმებს არისტოტელეს და მიუთითებს, რომ მონობა მუდმივი მოვლენაა, ამასთან, საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია. თომა აკვინელი მომხრე და დამცველია ადამიანთა უთანასწორობისა. იგი ამართლებს ფეოდალურ იერარქიას. მისი აზრით, მიწათმოქმედი და გლეხობა, რომლებიც სარჩოს პოულობენ მიწაზე მუშაობით - საზოგადოების ყველაზე უმდაბლეს ჯგუფს შეადგენ. ისინი კველაზე ჩამორჩენილი ხალხია და არ შეიძლება მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში. საზოგადოების ამავე ჯგუფს მიაკუთვნებს თომა კვინელი წვრილ ხელოსანთა კლასს. საზოგადოების საშუალო კლასში იგი აერთიანებს მეომრებს, მოსამართლეებს, ადმინისტრატორებს,

მდიდრებს, აზნაურებს, რომელნიც, თომას აზრით, გვაროვნულ მისწ-  
რაუებას ინარჩუნებენ სიკეთისაკენ.

თომა აკვინელი სახელმწიფოს საკითხში არისტოტელეს მოძღვრებას  
იყენებს, მაგრამ მასში გარკვეული შესწორებებიც შეაქვს. მაგალითად,  
თუ არისტოტელე ქადაგებდა, რომ სახელმწიფოს დანიშნულებაა  
ადამიანთათვის სიკეთის მინიჭება, თომა აკვინელი მიუთითებს, რომ მისი  
განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ღმერთისა და ეკლესიის შემ-  
წეობით. ამასთან, თომა მიუთითებს, რომ ადამიანს ამ ქვეყნად როდი შე-  
უძლია სრულ ბედნიერებას მიაღწიოს, სრული ბედნიერება, მისი აზრით,  
სამოთხეშია.

თომა აკვინელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხელი-  
სუფლებისადმი დამორჩილებას. მისი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლე-  
ბას უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები. ხელისუფლებისა და  
სახელმწიფოს ურთიერთობას თომა ადარებს ღმერთისა და სამყაროს ურ-  
თიერთობას, ან სხეულისა და სულის ურთიერთობას.

თომა აკვინელის აზრით, დაბალი თანამდებობები უნდა ემორჩილე-  
ბოდნენ მაღალს, მაგრამ დადგენილ უნდა იქნეს მორჩილების საზღვრები.

თომა აკვინელი, ალბათ, გრძნობს ეკლესიისა და სახელმწიფოს მო-  
სალოდნელ კონფლიქტებს და ამიტომ აღნიშნავს, რომ დასაშვებია სახელმ-  
წიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, თუით აჯანყების მოწყობაც  
კი, მაგრამ დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ: 1) ხელისუფლება უკანონოდაა  
ხელში ჩაგდებული; 2) თუ ხელისუფლება ბოროტად გამოიყენება; 3)  
აკვინელი აჯანყებას სამართლიანად და აუცილებლად თვლის, თუ ირლვევა  
ღვთიური კანონები. კერძოდ კო~~რ~~საეკლესიო კანონები. ამასთან, თომა მი-  
ზანშეწონილად არ თვლის მეფის მოკვლას, რადგან ეს სახელმწიფოსა-  
თვის საზიანოა.

თომა აკვინელი გამოთქვას მოსაზრებას სახელმწიფოს ფორმების  
შესახებ. მისი აზრით, ყველაზე უკეთესი სახელმწიფო ფორმაა მონარქია.  
მონარქიაში მონარქი მარტო მმართველი კი არ არის, არამედ შემოქმედია,  
რადგან მისი ნებით მოძრაობაში მოდის სახელმწიფო მექანიზმის ყველა  
ნაწილი. თომა აკვინელი იცნობს სახელმწიფოს სხვა ფორმებსაც: არის-  
ტოკრატიას, ოლიგარქიას, დემოკრატიას და სახელმწიფოს შერეულ  
ფორმას, რომელიც მოიცავს არისტოკრატიასა და დემოკრატიას. როგორც

აღვნიშნეთ, თომა აკვინელი სახელმწიფოს უმჯობეს ფორმად თვლის მონარქიას და ცდილობს დაასაბუთოს მისი უპირატესობაც. იგი აღნიშნავს, რომ მონარქი იგივეა სახელმწიფოში, რაც ღმერთი - სამყაროში, ან ადამიანის ორგანიზმში გული, ან დედა ფუტკარი სკაში და სხვ. მისი აზრით, იქ სადაც არაა მონარქია და ძალაუფლება ~~ე~~ კუთვნის ხალხს, ყოველთვის ადგილი აქვს ანარქიას, არეულობას.

თომა აკვინელი სასულიერო ხელისუფლებას უპირატესობას ანიჭებს საერო ხელისუფლებასთან შედარებით.

ავგუსტინეს მსგავსად თომა აკვინელი მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ერესების შეუბრალებლად მოკვეთას. თუ სახელმწიფო სჯის ყალბი ფულის მომჭრელებს, მით უმეტეს უნდა დასაჯოს ერეტიკოსები, რომელნიც რწმენას რყვნიან. თომა აკვინელი ამისათვის ინკვიზიციასაც კი მოითხოვდა.

თომა აკვინელი სამართლის შესახებაც გამოთქვამს მოსაზრებას. იგი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს სამართალსა და მორალს. თომა მთელ კანონებს ოთხ კატეგორიად ჰყოფს: 1) მუდმივი კანონი; 2) ბუნებითი კანონი; 3) ადამიანური კანონები; 4) ღვთაებრივი კანონები.

თომას აზრით, მუდმივი კანონი არის ღვთაებრივი გონი, რომელიც მართავს სამყაროს. იგი ყველა კანონის საფუძველთა საფუძველია, რომელიც გამოხატულებას პოულობს ბუნების მოვლენები /როგორც მათი აუცილებელი წესრიგი.

ბუნებითი კანონი თომას მოძღვრების მიზედვით არის მუდმივი კანონის გამოხატულება ყველა ცოცხალ არსებაში. ამ კანონებით ხდება ბაშვების დაბადება და აღზრდა და ა.შ. ბუნებითი კანონები აგრეთვე ის კანონებია, რომელნიც საფუძვლად უდევს ადამიანთა მიერ შედგენილ კანონებს. ამ-რიგად, თომა აკვინელის ბუნებითი კანონები იგივე მუდმივი კანონებია, მაგრამ მოქმედებს არა ბუნებაში მთლიანად, არამედ ორგანულ გარემოში, ბუნების ორგანულ ნაწილში. გარდა ამისა, ბუნებითი კანონები ადგენენ მორალის ნორმებსაც.

რაც შეეხება ადამიანთა კანონებს - ეს არის დადებითი სამართალი, ასე მაგ., მკვლელობისათვის დასჯის მოთხოვნა მოცემულია ბუნებით კანონებში, მაგრამ დასჯის სიდიდე და ხასიათი დგინდება პოზიტიურ სა-მართალში.

ადამიანთა კანონები თომას მითითებით შეიძლება არ დაემთხვეს ბუნებით კანონებს. რომაელი იურისტების მსგავსად, თომა განასხვავებს ხალხთა სამართალს და პოზიტიურ სამართალს, ანუ ცივილურ სამართალს. ეს უკანასკნელი მოქმედებს კონკრეტულ სახელმწიფოში, თავისი სპეციფიკური თავისებურებებით. აკვინელის აზრით, ღვთაებრივი კანონი არის გამოხატულება იმისა, რაც წმინდა წერილშია მოცემული და მისი დანშნულება გამოასწოროს, შესწორება შეიტანოს ადამიანთა კანონებში.

თომა აკვინელი კერძო საკუთრების მომზრეა. მისი აზრით, კერძო საკუთრება არ ეწინააღმდეგება ბუნებით კანონებს. აკვინელი წინააღმდეგია მევახშეობისა და სესხზე პროცენტის აღებისა, რასაც იგი დიდ ცოდვად თვლის.

ამრიგად, თომა აკვინელის შეხედულებებში გამოხატულებას პოულოს მე-13 საუკუნეში მიმდინარე პროცესები. მის მოძღვრებაში ასევე მოცემულია საეკლესიო მსოფლმხედველური იდეები. აღსანიშნავია ისიც, რომ აკვინელი თავისი იდეების ჩამოყალიბებისას ანტიკურ მოაზროვნეთა დიდ გავლენასაც განიცდის.

### §3. დაწევ აღიგიერის მსოფლიო მონარქიის შექმნის იდეა

შუა საუკუნეების გენიალური პოეტი დანტე ალიგიერი (1265-1322) პირველი გამოვიდა პაპის ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ. ამავე დროს მან დააყენა საკითხი ფერდალური დაქუცმაცებულობისა და მსოფლიო მონარქიის შექმნის შესახებ. დანტე ალიგიერი მირითადად შუა-საუკუნეობრივ მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა, მის პოზიციებშე იდგა. იგი პაპთან და გერმანელ იმპერატორებთან დავისას უპირატესობას იმპერატორებს ანიჭებდა, მაგრამ ყურადღების გარეშე არც პაპს ტოვებდა.

დანტეს აზრით, საჭიროა შეიქმნას მსოფლიო მონარქია გერმანელ იმპერატორთა თაოსნობით, მაგრამ მასში მთავარი როლი იტალიელებმა უნდა ითამაშონ. მსოფლიო მონარქიის შექმნას დანტე იმით ამართლებს, რომ ადამიანთა გონიერი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა შეუძლებელია ცალკეულ ადამიანთა ან პატარა ჯგუფების მიერ, საჭიროა მთელი კაცობრიობის ერთობლივი ძალისხმევა. გარდა ამისა, ადამიანთა

შორის უნდა დამყარდეს მეგობრობა და სიყვარული, ბოლო უნდა მოეღოს მტრობასა და ომებს, უნდა დამყარდეს საყოველთაო მშვიდობა.

დანტე ალიგიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა ფე-ოდალიშმის ეპოქაში გაილაშქრა მეფის შეუწილუდველობის წინააღმდეგ, კერძოდ, მონარქს მიწების გასხვისების უფლება არა აქვს, რადგან თვით მიწები მას არ ეკუთვნის. მეფის ხელისუფლება საზოგადოებრივი თანამდებობაა და მეფე ხელისუფლებას არ უნდა ახორციელებდეს ისე როგორც საკუთარ უფლებას.

ამრიგად, დანტემ წამოაყენა ფეოდალიზმის ეპოქისათვის სრულიად ახალი თვალსაზრისი სახელმწიფო ხელისუფლების საკითხზე. ეს თვალსაზრისი იმ დროისათვის მეტად პროგრესული იყო.

#### §4. უილიამ ოკამის, მარსილიო კადუელისა და შუა საუკუნეების იურისტების კოლიტიკური შეხედულებანი

უილიამ ოკამი საერო ხელისუფლების გამლიერებისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის გადალახვის მომხრეა. უილიამ ოკამმა სიტყვით მიმართა იმპერატორს: „დამიცავი ხმლით და დაგიცავ კალმით“. უილიამ ოკამი თავის ტრაქტატებში ასაბუთებდა იმპერატორის ხელისუფლებისა და პაპის ხელისუფლების გამიჯვნას. იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება და საკუთრება უმუალოდ ღმერთისაგანაა გაჩენილი და არა პაპის მეშვეობით. უილიამ ოკამის აზრით, საერო სასამართლოში უმაღლესობა აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს ხელმწიფებს. ასევე იგი მოითხოვდა პაპის ხელისუფლების შეცვლას საეკლესიო კრებით.

პაპის ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებით აშკარად გამოდიოდა მარსილიო პადუელი. იგი ერთ დროს პარიზის უნივერსიტეტის რექტორი იყო. პადუელი დიდ მნშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს. მისი აზრით, სახელმწიფოს დანშნულებაა, რომ მისი კველა წევრი ფიზიკურად და სულიერად ბედნიერი იყოს. სახელმწიფოს წარმოშობას წინ უძღვდა ოჯახი, გვარი, ტომი და ქალაქი. პადუელის აზრით, საკანონმდებლო უფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხალხს: მმართველობის უმჯობეს ფორმად მას მონარქია მიაჩნია. პადუელი ერთმანეთისაგან ასხვავებს მემკვიდ-

რეობით და არჩევით მონარქიას. უპირატესობას იგი არჩევით მონარქიას აძლევს. პადუელის აზრით, სახელმწიფოში შენარჩუნებულ უნდა იქნეს შემდეგი წოდებები: მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, ვაჭართა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო წოდებები, ე.ი. სულ ექვსი.

პადუელი გამოთქვაშს თავის მოსახრებას იურიდიული და რელიგიური კანონების შესახებ. მისი აზრით, სამღვდელოება არ უნდა აიძულებდეს ხალხს რელიგიური კანონების შესრულებას, არამედ უნდა მიმართავდეს დარწმუნების მეთოდს. მისი აზრით, სახარება კანონი კი არ არის, არამედ სწავლებაა, მოძღვრებაა. ამდენად, რწმენის ფარგლებში იძულება საჭირო არ არის. რელიგიური კანონები რწმენის სფეროში შედის და მას ხალხი ნებაყოფლობით უნდა ასრულებდეს.

მარსილიო პადუელი დიდად უსწრებს წინ თავის ეპოქას, როცა რწმენისა და სინდისის თავისუფლებას ქადაგებს.

საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ასევე ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს შუა საუკუნეების იურისტებმაც. ისინი სამ ჯგუფად იყოფიან: 1) ლეგისტები; 2) დეკრეტისტები, რომლებიც კანონიკურ სამართლის ემსრობოდნენ; 3) ადათობრივი სამართლის მომხრეები. რაც შეეხება ლეგისტებს, ისინი რომის სამართლის ნორმებს ეყრდნობოდნენ.

რომის სამართლისადმი ინტერესი გაძლიერდა XII-XIII საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც სასაქონლო ფულადი და სავაჭრო ურთიერთობა განვითარდა. რომის სამართლის გავრცელების კერად ითვლება ქ.ბოლონიაში ჩამოყალიბებული გლოსატორების სკოლა, ხოლო შემდეგში - პოსტგლოსატორების სკოლა. გლოსატორები რომის სამართლის შესწავლით კმაყოფილდებოდნენ, მშინ, როდესაც პოსტგლოსატორები არა მარტო სწავლობდნენ რომის სამართლის ნორმებს, არამედ კომენტარებს ურთავდნენ მათ და ახალი სავაჭრო და სამრეწველო ურთიერთობისათვის იყენებდნენ. გლოსატორებსა და პოსტგლოსატორებს ეწოდათ ლეგისტები. ლეგისტები იმპერატორთა კონსულტანტები იყვნენ. ისინი ემსრობოდნენ საერო ფეოდალებს და ებრძოდნენ სასულიერო წრეებს. ამით ლეგისტებმა პროგრესული როლი ითამაშეს. გარდა ამისა, ლეგისტები ამართლებდნენ ბატონყმობას, მის თეორიულ დასაბუთებას იძლეოდნენ, ამიტომ გლეხობა ლეგისტებისადმი სიძულვილს გამოთქვამდნენ და გერმანიაში მათ გან-

### §3. რეფორმაციის მომხრეთა პოლიტიკური მოძღვრებანი

მე-16 საუკუნის გერმანიაში ფეოდალური წყობის რღვევის პროცესები მიმდინარეობდა. ამასთან, კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ფართოდ გაიშალა სხვადასხვა ოპოზიციური წრეების მოძრაობა. ეს მოძრაობა ცნობილია რეფორმაციის სახელწოდებით.

მე-16 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი დიდი ოპოზიციური ბანაკი: 1) ლუთერიანელები, ანუ ბიურგერულ-რეფორმატორული და 2) რევოლუციური, ანუ გლეხურ პლებეური. ორივე ბანაკი ფეოდალიზმის დამხობის წინააღმდეგ იბრძოდა.

ლუთერიანელურ ბანაკს ლუთერი ხელმძღვანელობდა. იგი თავის რიგებში აერთიანებდა როგორც ბიურგერებს, ასევე წვრილი აზნაურების მნიშვნელოვან ნაწილს და თავადებს. აღნიშნული ბანაკი მოითხოვდა საეკლესიო გარდაქმნებს და წარმოადგენდა ბიურგერული ერესის სახესხვაობას.

მეორე ბანაკი, ანუ რევოლუციონერების ბანაკი, შედარებით რადიკალური იყო. ისინი არა მარტო კათოლიკურ უკლესიას, არამედ მთლიანად ფეოდალიზმსაც დაუპირისპირდნენ, რომელიც თანასწორუფლებიანობასა და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

#### 1) მარტინ ლუთერის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

მარტინ ლუთერი (1483-1546) რეფორმაციის მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყებია. ლუთერი აცხადებდა, რომ საეკლესიო კანონების შესრულების მოთხოვნა მოგონილია სამღვდელოების მიერ, რათა ზალხი მორჩილებაში იყოლიონ. აქედან გამომდინარე, ლუთერი უარყოფს ეკლესიის ავტორიტეტს და საეკლესიო იერარქიას. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუთერი მთლიანად როდი უარყოფს რელიგიისა და ეკლესიის როლს, პირიქით, ბოლომდე იგი რელიგიისა და ღვთისმეტყველების მომხრედ რჩება, მაგრამ ებრძვის რელიგიის ავტორიტეტებს. რეფორმაცია უშვებს წმინდა აღთქმის თავისუფალ აზსნა-განმარტებას, იგი ასაბუთებს აზრისა და სინდისის თავისუფლებას. ლუთერი მიუთითებს, რომ რწმენა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. არავის არა აქვს უფლება ადამიანი აიძულოს,

ამა თუ იმ რწმენის მისაღებად.

ლუთერი გამოთქვაშს თავის მოსაზრებას ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მისი აზრით, სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს ეკლესიას, ხოლო ქრისტიანები კი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას. ლუთერი ადრე ჰკარად მოუწოდებდა კარდინალების, ეპისკოპოსებისა და პაპების დასათრგუნავად, მაგრამ მოვიანებით, საზოგადოებრივი კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრას მოითხოვს, გერმანიის 1525 წლის გლეხთა ომის დროს კი ლუთერი აჯანყებული გლეხობის ულმობლად დათრგუნვას ქადაგებდა. იგი მტრულ განწყობილებშია რევოლუციური მოძრაობისადმი. მას იმედი აქვს, რომ ახალ რელიგიას განამტკიცებს სახელმწიფო. ლუთერი საბოლოოდ მთლიანად ჩამოშორდა გლეხთა მოძრაობას და ბურგერთა იდეოლოგი გახდა.

ლუთერი თანმიმდევარი არ იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. იგი იცავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფას, თუმცა საბოლოოდ მიღიოდა დასკვნებამდე, რომელთა მიხედვითაც ეკლესია სახელმწიფოს უნდა ემორჩილებოდეს. მისი აზრით, სახელმწიფო გონიერების შედეგია, ამიტომ ქრისტიანული სახელმწიფოს საქმიანობა არ უნდა გასცილდეს ქრისტიანული ეკლესიის ინტერესებს. ლუთერი იბრძოდა ახალი რელიგიის ჩამოსაყალიბებლად და განსამტკიცებლად, ამის განხორციელებას კი იგი ფეოდალების დახმარებით ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, ლუთერი მაინც ამხილებდა არსებულ ფეოდალურ წესწყობილებას და ნაწილობრივ მათ წინააღმდეგაც გამოდიოდა.

## 2) თომას მიუნცერის პოლიტიკური პროგრამა

თომას მიუნცერი (1490-1525) გერმანის გლეხთა ომის იდეოლოგი, რეფორმაციის პერიოდის რევოლუციური მოძრაობის ბელადი იყო. თომას მიუნცერმა 15 წლისამ ჩამოაყალიბა საიდუმლო კავშირი მაგდებურგის არქიეპისკოპოსისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

1520 წელს მიუნცერი გაემგზავრა ცვიკაუში. აქ ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. ანაბაბტისტების მოძღვრება, რომლებიც ქონებრივ თანასწორობასა და პრიმიტივულ-გათანასწორებითი კომუნიზმის იდეებს ქადაგებდნენ, ამასთან, ისინი მოითხოვდნენ თემების შექმნას, რომელშიც

არ იქნებოდნენ მდიდრები და ყველა ერთნაირ პირობებში იცხოვრებდა (ლარიბად). მიუნცერი ემხრობოდა და მხარს უჭერდა ანაბაბტისტებს, მაგრამ მთლიანად არ იჩიარებდა მათ იდეებს. მიუნცერი მარტო ეკლესიის წინააღმდეგ კი არ იძრძოდა, არამედ არსებული წესწყობილების წინააღმდეგაც. იგი დადიოდა სოფლებში და გლეხობას მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. საბოლოოდ მიუნცერი გაემიჯნა ბურუუაზიული რეფორმაციის მოძღვრებას და დაიწყო პოლიტიკური აგიტაცია. ამასთან დაკავშირებით იგი ავითარებს პროგრამას, რომელიც თითქმის უტოპიურ სოციალიზმს უახლოვდება და გამოხატავს პლებეური მასების მოთხოვნებს. ყოველივე ამან დააჩქარა განხეთქილება ლუთერობა, რომელიც რევოლუციის ბელადების სასტიკად დასჯას მოითხოვდა. 1525 წელს, გლეხთა ომის დროს, მიუნცერი ფაქტობრივად ბელადი იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით დასაჯეს.

მიუნცერმა ჩამოაყალიბა რადიკალური პროგრამა. თავის მოძღვრებას მან რელიგიური ფორმა მისცა. მიუნცერი აკრიტიკებდა არა მარტო ეკლესიას, არამედ მთლიანად ქრისტიანულ დოგმებს. იგი აღიარებდა, რომ ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანი იყო და უარყოფდა მის ღვთიურ წარმოშობას, ამასთან, მას არ სჯეროდა იმქვეყნიერი ცხოვრებისა და უარყოფდა საიქიოს დაყოფას სამოთხედ და ჯოჯოხეთად. ხოლო რაღანაც ქრისტე ადამიანი იყო, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს დიდ მასწავლებლად და წინასწარმეტყველად და არ შეიძლება მიეწეროს ის მაგიური ძალა, რომელიც კათოლიკური ეკლესიის აზრით ღმერთს გააჩნდა. მიუნცერი ამ შემთხვევაში სასტიკად ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

მიუნცერი მოითხოვდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას, რომელშიაც არ იქნებოდა კლასები და კერძო საკუთრება, ხოლო საზოგადოების მთელი ქონება საერთო უნდა ყოფილიყო. საზოგადოების წევრებს შორის უნდა დამყარებულიყო სრული თანასწორობა. მაგრამ მიუნცერის იდეებს განხორციელება არ ეწერა.

3) უან კალვინის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

რეფორმაციის თვალსაჩინო იდეოლოგებს მიეკუთვნება უან კალვინი (1509-1564). შეეიცარიაში დამკვიდრების შემდეგ მან გამოაქვეყნა ღვთის-

მეტყველური ტრაქტატი „რჩევა-დარიგებანი ქრისტიანულ სარწმუნო-ებში” (1536). კალვინის თხზულების ქვაკუთხედი არის დოგმატი ღვთა-ებრივი წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ. უ.კალვინის თანახმად, ღმერთმა წინასწარ განუსაზღვრა ადამიანთა ერთ კატეგორიას გადარჩენა და ნეტარება, ხოლო მეორე კატეგორიას - უცილობელი დაღუპვა. ადა-მიანებს არ ძალუდო ღმერთის ნების შეცვლა. მათ მხოლოდ შეუძლიათ მიზვდნენ, რომელ კატეგორიას ეკუთვნიან იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიდის მათი ცხოვრება დედამიწაზე. თუ მათი პროფესიული საქმიანობა (რომელიც ღმერთისგანაა განსაზღვრული) წარმატებით მიდის, თუ ისი-ნი ღვთისნიერნი, სათხონი, შრომისმოყვარენი და ხელისუფალთადმი მორ-ჩილნი არიან, ეს ნიშნავს, რომ ღმერთი კეთილგანწყობილია მათ მიმართ, ხოლო თუ ყველაფერი პირიქითაა, მაშინ გამოდის, რომ ღმერთი მათ უარყოფს და დაღუპვაც გარდუვალია.

ჭეშმარიტი კალვინისტისათვის აბსოლუტური ღვთაებრივი წინას-წარგანსაზღვრულობის დოგმატიდან გამომდინარეობდა ვალდებულება მთლიანად მიეძღვნა საკუთარი თავი პროფესიისადმი, ყოფილიყო მაქსი-მალურად მომჭირნე, ზიზღით განწყობილი სიამოვნებებისა და მფანგვე-ლობისადმი. ამ დოგმატიდან ასევე გამომდინარეობდა, რომ ფეოდალთა კეთილშობილი წარმოშობა და წოდებრივი პრივილეგიები არცუ ისე მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი არ განაპირობებენ ადამიანის გადარ-ჩენას.

კალვინმა გაატარა ძირეული საეკლესიო რეფორმა. საეკლესიო თემებს ამ რეფორმის შემდეგ ხელმძღვანელობდნენ უხუცესები (პრესვი-ტერები), რომელთაც ჩვეულებრივ ირჩევდნენ მდიდარი ერისკაცებისაგან და აგრეთვე მქადაგებლები, რომელთაც არ ჰქონდათ სპეციალური სასუ-ლიირო წოდება და რელიგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ როგორც სამ-სახურებრივ მოვალეობას. პრესვიტერები მქადაგებლებთან ერთად შე-ადგენდნენ კონსისტორიას, რომელიც განაგებდა თემის რელიგიურ ცხოვ-რებას.

უ.კალვინი ყოველთვის აკრიტიკებდა ფეოდალურ-მონარქიულ წრე-ებს ძალადობის, თვითნებობის, უკანონობისათვის და მათ ღვთიურ სას-ჯელს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ, ამავე დროს, ყოველგვარ ხელი-სუფლებას იგი ღვთაებრივად მიიჩნევდა. მისი აზრით, აშკარა დაუმორ-ჩილებლობა და ტირანის დამხობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც

გამოყენებულია პასიური წინააღმდეგობის ყველა საშუალებანი და ბრძოლის ყველა ლეგალური ფორმები. მმართველობის უარეს ფორმად იგი დემოკრატიას თვლიდა და უპირატესობას სახელმწიფოს მმართველობის ოლქებულ ორგანიზაციას ანიჭებდა.

კალვინისტური დოქტრინის განმასხვავებელი ნიშანი იყო უსასტიკესი რელიგიური შეუწყნარებლობა ყველა სხვაგვარად მოაზროვნებისადმი. ეს გამოიხატა ჟ.კალვინის პოლიტიკურ პრაქტიკში. იგი 1541-1564 წლები ხელმძღვანელობდა უნივერსიტორიას, რომელმაც ფაქტობრივად დაიმორჩილა ქალაქის მაგისტრატი. ქალაქელებზე დამყარდა თვალთვალი, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე მკაცრ რეგლამენტაციას დაექვემდებარა. მცირედი დარღვევისთვისაც კი მკაცრი სასჯელები იყო გათვალისწინებული, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ერეტიკოსთა სიკვდილით დასჯა.

კალვინისტურმა იდეოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიში. მან ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპში პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციას - რევოლუციას ნიდერლანდებში და ამ ქვეყანში რესპუბლიკის დამკვიდრებას. მის საფუძველზე შეიქმნა რესპუბლიკური პარტიები ინგლისში, უპირველეს ყოვლისა კი, შოტლანდიში.

ამრიგად, რეფორმაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფოსა და სამართალზე ბურჟუაზიული შეხედულებების ჩამოყალიბებას. რეფორმაციამ წამოაყენა საერო სახელმწიფოს იდეა, გარდა ამისა, საფუძველი ჩაუყარა პიროვნების უფლებასა და სახალხო სუვერენიტეტის ბურჟუაზიულ მოძღვრებას.

#### §4. ზან ბოდენის პოლიტიკური და სამართლებრივი გენერაცია

XVI საუკუნის საფრანგეთში ახლადფეხადგმული ბურჟუაზიისა და აბსოლუტიშმის იდეოლოგად გვევლინება უან ბოდენი (1530-1596). მან იურიდიული განათლება მიიღო და პარიზის ადვოკატურაში მუშაობდა, ხოლო შემდგომში ეკავა პროკურორის თანამდებობა, იყო გენერალური შტატების დეპუტატი მესამე წოდებისაგან.

ბოდენის პოლიტიკური შეხედულებანი გადმოცემულია მის მრავალ-რიცხოვან შრომებში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი შრომა:

„ექვსი წიგნი რესპუბლიკის შესახებ”. „რესპუბლიკის” ქვეშ იგი გულისხმობს ზოგადად სახელმწიფოს, ისე როგორც ძველ რომში. ეს წიგნი გამოქვეყნდა 1576 წელს, მასში ავტორი ცდილობს ჩამოაყალიბოს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრება საერთო ინტერესების შესაბამისად, ე.ი. მისი მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მთლიანად თავისუფალია რელიგიური დოგმატების ზეგავლენისაგან. ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებში ბოდენი აღადგენს არისტოტელეს მოძღვრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გეოგრაფიული გარემოს აქტიური ზეგავლენის შესახებ და ამით ცდილობს რენესანსის ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური მოვლენების აზნას რელიგიისაგან თავისუფალი მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად.

ამ შრომაში ბოდენი მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი. მაგალითად, კლიმატის თავისებურებებით უნდა აიხსნას ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხების ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების სპეციული ქმნიან. მაგალითად, ჩრდილოეთის მხარის კლიმატი ხელს უწყობს ადამიანში მამაცობის გრძნობის გამომუშავებას და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩრდილოეთის ხალხები ყალიბდებიან გარკვეულ სამხედრო ორგანიზაციად და მუდამ ომის საფრთხეს ქმნიან.

რაც შეეხება სამხრეთის კლიმატს, იგი ხელს უწყობს ადამიანის გონების განვითარებას. სწორედ ამიტომ უძველესი დროიდან სამხრეთის ქვეყნებში ყვავის მეცნიერება. ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებით იგრძნობა ადამიანთა დაინტერესებანი პოლიტიკითა და ორატორული ხელოვნებით. გარდა ამისა, ბოდენის აზრით, ყველაზე დიდ ზეგავლენას საზოგადოებროვ ცხოვრებაზე ახდენს კანონიერება და ზნეობა. საზოგადოების განვითარების კანონზომიერების გარკვევასთან ერთად ბოდენი შენიშნავს, რომ ადამიანის გაჩენიდან საზოგადოება ვითარდება პროგრესის გზით. ბოდენი ცდილობს განსაზღვროს საზოგადოების არსი, მისი წარმოშობა. მისი აზრით, სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს ოჯახი, ე.ი. ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს ოჯახის ფორმებს საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე. აქედან ბოდენი აკეთებს დასკვნას, რომ სახელმწიფო

არის გაზრდილი ოჯახი, მაგრამ მისთვის ცხადია ისიც, რომ სახელმწიფო და ოჯახი არ არის იღენტური ცნებები და მათ შორის გარკვეული განსხვავებაა, კერძოდ ეს განსხვავებებია:

1) საზოგადოების პირველი დამახასიათებელი თავისებურება, რომლითაც იგი განსხვავდება ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული ყველა საზოგადოებრივი ერთეულებისაგან, არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტი. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტის ცნებას განსაზღვრავს ის, რომ იგი განუყოფელია მეფესა და ხალხს შორის;

2) სუვერენულ სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს მუდმივი ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება არ შეიძლება გადაეცეს ვინმეს დროებით ან გარკვეული პირობებით.

3) სუვერენული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება შეუზღუდველია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ყველა იმ კანონზე მაღლა დგას, რომელიც მას დაუდგენია ან გამოუცია. 10

ამრიგად, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სუვერენიტეტი ემაღლესობასთან მის შეუზღუდვაობას გულისხმობს, მაგრამ ბოდენი ფიქრობს, რომ საქმე არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისე, რომ თითქოს სახელმწიფო ხელისუფლება არასოდეს არ შეიძლება შემოიზღუდოს.

1) ამ შემზღუდველ ფაქტორებს ბოდენი, უპირველეს ყოვლისა, მიაკუთვნებს ბუნებით კანონებს, რომლებიც ბუნების მიერ არის დადგენილი და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს კანონებს, უნდა ხელმძღვანელობდეს ბუნებითი კანონებით;

2) სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ზღუდავს აგრეთვე კერძო საკუთრების არსებობა საზოგადოებაში. ბოდენი მიუთითებს, რომ კერძო საკუთრება საზოგადოების საფუძველია, ამიტომაც მონარქი უნდა იცავდეს კერძო საკუთრებასაც. მოსახლეობაზე გადასახადის შეწერის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესები.

ბოდენის პოლიტიკურ იდეალს ძლიერი ცენტრალიზმებული სახელმწიფო წარმოადგენს და იგი აღნიშნავს, რომ რადგანაც სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტი გულისხმობს მის განუყოფლობას, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხელისუფლება ყოველთვის ერთ პირს და ერთ რომელიმე კრებას უნდა ეკუთვნოდეს, რაც შეეხება სახელმწიფოს

შერეულ ფორმას, ბოდენის აზრით, იგი ფიქციურია, ე.ი. არ არსებობს ასე-  
თი რამ. სახელმწიფო ხელისუფლება მეფეს, არისტოკრატიას, ანდა ხალხს  
უნდა ეკუთვნოდეს. მისი ეს მოსაზრება არ გამორიცხავს იმას, რომ მთავ-  
რობა არ შეიძლება იყოს შერეული ფორმის. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავ-  
რობის უფლებები შეიძლება გადაეცეს ერთდღოულად როგორც მონარქს,  
ისე სახალხო კრებებს. ბოდენის ეს მოსაზრება გარკვეულ პოლიტიკურ  
მიზანს ასახავს. კერძოდ, იგი ცდილობს დაასაბუთოს სამეფო ხელი-  
სუფლების შეთავსება წარმომადგენლობითი ორგანოების არსებობასთან.

თავის შრომაში ბოდენი ყურადღებას აქცევს სახელმწიფო ფორმების  
საკითხს. დემოკრატიის შესახებ იგი უარყოფით შეხედულებას გამო-  
თქვამს. მისი მტკიცებით, ხალხს რომ ხელისუფლება ჩაუვარდეს ხელში,  
საზოგადოებაში აუცილებლად ანარქია დამყარდება, რადგანაც ხალხს არ  
შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხების მიმართ  
მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. არც არისტოკრატიული ფორმა იმსა-  
ზურებს მის მოწონებას, რადგანაც ამ ფორმას არ შეუძლია იჩნას საზო-  
გადოება რევოლუციისაგან. ამ შემთხვევაში ერთადერთ მისაღებ ფორმად,  
მისი აზრით, მონარქია შეიძლება იყოს. არსებობს მონარქიის შემდეგი  
ფორმები:

1). კანონიერი მონარქია, ე.ი. როდესაც მემკვიდრეობის უფლების სა-  
ფუძველზე ხელისუფლების სათავეში დგას მეფე;

2) სენიორალური მონარქია, როდესაც ძალადობრივი გზით ხელი-  
სუფლება მონარქიას აქვს დაკავებული;

3) ჭირანია, რომელიც მონარქიის შერყვნილ ფორმას წარმოადგენს.

ბოდენი ცდილობს გამოარკვიოს ის მიზეზები, რაც საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გადატრიალებას იწ-  
ვევს. ამ მიზეზთა შორის უმთავრესია:

1) მკვეთრი ქონებრივი განსხვავება საზოგადოების სხვადასხვა სო-  
ციალურ ფენებს შორის, მისი აზრით, ეს განსხვავება ხელისუფლებასთან  
მუდმივ ბრძოლასა და უთანხმოებას იწვევს;

2) ჩაგვრის სიმკაცრე, ცვლილებანი კანონმდებლობაში, ქვეყნის სამ-  
ხედრო წარუმატებლობანი.

ბოდენის აზრით, ყველა სახელმწიფო მოღვაწე უნდა ღებულობდეს  
ზომებს თავიდან აიცილოს ეს მიზეზები, რადგანაც მათ მოჰყვება სახელმწი-

ფონებრივი ხელისუფლების შეცვლა.

## §5. XVI-XVII საუკუნეების უტოკიური სოციალიზმის თარომადგენელთა პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეაბი

ამ პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ და განვითარებამ მნიშვნელოვნად გაართულა მშრომელი ხალხის მდგომარეობა. ზოგ ქვეყნებში მრეწველობის განვითარებამ (მაგალითად, ინგლისში საფეიქრო მრეწველობის) გამოიწვია გლეხების აყრა საცხოვრებელი ადგილებიდან და მათი გადასახლება. საწარმოთა მუშები უმკაცრეს პირობებში ცხოვრობდნენ, ხოლო უამრავი უმუშევარი დანაშაულებრივი გზით ცდილობდა თავის გადარჩნას.

საზოგადოებრივ ცხოვრებში მომხდარმა ცვლილებებმა წარმოშვა ახალი პოლიტიკური შეხედულებები. მოაზროვნეთა უმრავლესობა ფიქრობდა გამოსავლის მონახვაზე, რაც ბედნიერებას მოუტანდა ადამიანებს. ისინი სახავდნენ საზოგადოების მოწყობის იდეალურ პროექტებს. მათ გულწრფელად სურდათ ხალხის კეთილდღეობა, თუმცა მათი იდეები განუხორციელებელი და რეალობას მოკლებული იყო.

ასეთ მოაზროვნებს მიეკუთვნებიან უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებელი ინგლისელი თომას მორი (1478-1535) და იტალიელი ტომაზო კამპანელა (1568-1639).

თომას მორი ცხოვრობდა ჰენრიხ მერვის დროს. მას ლორდ – კანცლერის თანამდებობა ეკავა. 1516 წელს გამოქვეყნდა მორის ნაწარმოები „უტოპია”, სადაც აღწერილია საზოგადოებრივი წყობილება და ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელიც კაცობრიობისათვის უცნობ კუნძულ უტოპიაზე ხდება.

ნაწარმოებს დიალოგის ფორმა აქვს. ამ ნაწარმოებებში ავტორის გარდა მონაწილეობას იღებს მისი მეგობარი პეტრე ეგიდიუსი და აგრეთვე ვიღაც რაფაელ პიტლოდეი. ეს უკანასკნელი ამერიგო ვესტურის ექსპედიციის წევრი ყოფილა, მაგრამ ექსპედიციას ჩამორჩენილა და დიდი ზნის ხეტიალის შემდეგ სრულიად უცნობ კუნძულ უტოპიაზე მოხვედრილა. იგი უტოპიელთა ცხოვრებას მოუთხოობს თავის თანამოსაუბრებებს. ნა-

# **არისთობელა**

## **პოლიტიკა**

**ნაფილი პირველი**

ბერელი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი  
წერილი და განმარტებები დაურთო პროფესორმა

**თამარ კეპავამ**

**თბილისი**

1995

## თავი VIII

ა დაგვრჩა განსახილეული ტირანია არა იმიტომ, რომ მასზე ბევრის თქმა შეიძლება, არამედ იმიტომ, რათა მან დაიკავოს თავისი ადგილი ჩვენს გამოკვლევაში, რადგან ჩვენ მას ვთვლით სახელმწიფოს ერთ-ერთ სახეობად. მონარქია ჩვენ უკვე განვიხილეთ წინამორბედ საუბრებში, სადაც კალევას ვაწარმოებდით ეწ. მონარქიაზე, რათა დაგვედგინა, სასარგებლოა თუ არა ეს ფორმა და როგორ ნიშნავენ მეტეს.

ტირანიის ორი ფორმა ჩვენ განვიხილეთ იქ, სადაც მონარქიას ვკვლევდით. ორივეს აქვს ისეთი თვისებები, რაც მონარქიას ემთხვევა. ორივე ემყარება კანონებს. ზოგიერთი ბარბაროსული ტომი ახლაც ირჩევს თვითმშეყრობელ მეფეს და ძველ დროშიც, ადრეულ საბერძნეთში ასევე ნიშავრენ თვითმშეყრობელ მეფეებს. რომელთაც ესუმნეტები ეწოდებოდა. მაგრამ ამ ორ მონარქიას შორის არსებობს განსხვავებაც. ისინი კანონიერებისა და ხალხის ნებასურვილით აჩჩევის გამო არიან სამეფოები. მაგრამ დესპოტური მმართველობისა და საკუთარი ნებასურვილით მოქმედების გამო არიან ტირანული.

ტირანიის მესამე სახე უფრო მეტად არის თვითმშეყრობელური ხასიათისა. იგი ტირანულია იმიტომაც, რომ უპისპირდება აბსოლუტურ მონარქიას. იგი აუცილებელად არის ტირანული იმის გამოც, რომ საუკეთესო მოქალაქეებს მართავს ანგარიშების გარეშე საკუთარი და არა დაქვემდებარებულთა ინტერესებისათვის. ცხადია, რომ ის არის იძულებითი მმართველობა, რადგან არც ერთი თავისუფალი მოქალაქე არ დაემორჩილებოდა ასეთ მმართველობას.

ზემოთქმული მიზეზების გამო ასეთია და ამდენი ტირანული სახელმიფოს სახეები.

## თავი IX

 როგორია ჭელაზე უკეთესი სახელმწიფო და ცხოვრების საუჯრებელი სახე სახელმწიფოთა და ადამიანთა უმრავლესობისათვის? ეს არაა ცხოვრება ისეთი სათნოებით, რომელიც ჭარბობს ჩვეულებრივი ადამიანის სათნოებას, არც ცხოვრება განათლებით, არც მოითხოვს ბუნებრივ მონაცემებსა და საშუალებებს რასაც იძლევა ბეღნიერი შემთხვევა. ის არც სახელმწიფოა, რომელსაც მოქალაქეთა სურვილით ირჩევენ, არამედ ესაა ისეთი ცხოვრება, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის უმრავლესობისათვის და ისეთი სახელმწიფო, რომელიც მისაღებია სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის.

ე.წ. არისტოკრატია მიუღებელია სახელმწიფოების უმრავლესობისათვის. იგი უახლოვდება ე.წ. პოლიტიკას, ამიტომ მასზე, როგორც ერთ სახელმწიფოზე, ახლა ვილაპარაკებთ. მსჯელობა ყველა ამ საკითხების შესახებ იქნება დამყარებული იმავე პრინციპებზე. თუ "ეთიკებში" სწორადაა ნათქვამი, რომ ბედნიერი ცხოვრება არის ზნეობაზე დამყარებული ცხოვრება დაბრკოლებების გარეშე, ხოლო ზნეობა კი არის შუალედი, მაშინ საუკეთესო ცხოვრება იქნება შუალედური ცხოვრება, რომლის მიღწევა შეუძლია ყველა ადამიანს. იგივე განსაზღვრება ექნება აუცილებლად სახელმწიფოებრივ სათნოებასაც და მანკიერებას, რადგან პოლიტიკა არის იგივე სახელმწიფო ცხოვრება.

ყველ სახელმწიფოს აქეს სამი ნაწილი: ძალიან მდიდრები, ძალიან ღარიბები და მესამე – მათ შუა მყოფი. რადგან ყველა აღიარებს, რომ ზომიერება და შუალედი არის საუკეთესო მდგრმარეობა, ცხადია, რომ ქონებაშიც საუკეთესოა საშუალო ქონება. გონივრულია დაეთანხმო ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ ძნელია დაეთანხმო ძალიან კარგს, ძალიან ძლიერს, ძალიან კეთილშობილს, და ამათ მოპირდაპირეს ძალიან ღარიბს, ძალიან სუსტს, ძალიან დამცირებულს. პირველი ხდებიან უფრო მეტად თვალსაზრისით და უზნეონი, მეორენი კი ბოროტმოქმედნი და წვრილმანი უზნეონი. ერთნი სჩაღიან უსამართლობას თვალსაზრისით გამო, მეორენი კი ბოროტი თვისებების გამო. გარდა ამისა, ისინი არ გაურბიან სახელმწიფო საქმიანობას, პირიქით, ეტანებიან მას, მაგრამ ორივე ეს ნიშანთვისება საზიანოა სახელმწიფოსთვის. ამას გარდა, ისინი, რომლებიც ზედმეტად კეთილდღეობაში იმყოფებიან და ძალაუფლებაც აქვთ, ჰყავთ მეგობრები და სხვა უპირატესობანი აქვთ, მათ არ სურთ დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და არც წარმოლგვნა აქვთ ამაზე. ეს მათ მოსდგამთ ოჯახიდან და ბავშვობიდან. ისინი იმყოფებოდნენ რა ფუფუნებაში, არ არიან მიწვეული მორჩილებას სასწავლებლებშიც კი. ხოლო მორენი დიდი გაჭირვების გამო ძალიან დამცირებული არიან, ამიტომ არ იციან არც ხელმძღვანელობა და არც ჰვეშერდომობა, არამედ მხოლოდ მონური მორჩილება. პირველი არ ემორჩილებიან არავითარ ხელმძღვანელობას და თვითონ, როგორც დესპოტები, ისე ხელმძღვანელობენ. ასე წარმოიქმნა მონებისა და ბატონების სახელმწიფო, სადაც ერთნი შურით არიან აღესილნი, მეორენი კი ზიზლით. ეს კი ეწინააღმდევება მეგობრობას და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ხოლო მტრებს ერთ გზაზე გავლაც კი არ სურთ.

სახელმწიფოს სურს, რომ შედგებოდეს უშეტესად მსგავსი და თანასწორი მოქალაქეებისაგან. ეს კი ახასიათებს საუკეთესო პოლიტიკურ

წეს-წყობილებას, იმ სახელმწიფოს სიმყრეს, რომლის შესახებ ვამბობთ, რომ არის ბუნებრივი შედეგი ილობისა, ყველაზე მეტად საშუალო კლასი იცავს. საშუალო კლასს არც სხვების ავლა-დიდება სურს, როგორც ღარიბებს, არც სხვებს სურთ მათგან რამე, როგორც მდიდრებისაგან ღარიბებს და რაღვან არც მათ სურთ სხვებისა და არც სხვებს სურთ მათი, ამიტომ ისინი მშვიდად ცხოვრობენ. ამასთან დაკავშირებით კარგად აქვს ნათქვამი ფოულიდეს: "საშუალო ფენას მრავალი უპირატესობა აქვს. მე მინდა, რომ სახელმწიფოში საშუალო ფენას ვეუთვნოდე". ცხადია, რომ საუკეთესო სახელმწიფოებრივი ურთიერთობა შეიქმნება საშუალო კლასის დახმარებით და კარგია იმ სახელმწიფოს მმართველობა, სადაც საშუალო ფენა ჭარბობს თუ ორივე მოპირდაპირე მხარეს არა, ერთ-ერთს მანც, თუ ისინი დაუკავშირდებიან რომელიმე მხარეს, წარმოშობენ წონასწორობას და ხელს უშლიან მოწინააღმდეგე მხარეების გაძლიერებას. უდიდესი ბერნიერებაა, როდესაც მოქალაქეებს აქვთ საშუალო, მაგრამ საკმარისი ჭრნება. იქ კი, სადაც ერთ მხარეს აქვს ძალიან ბევრი, მეორეს კი არაფერი, წარმოშობა ან უკიდურესი დემოკრატია, ან სუფთა სახის ოლიგარქია, ანდა ტირანია, სადაც ორივე მხარე ჭარბად არის მოცემული. ტირანია წარმოშობა უკიდურესი დემოკრატიისა და ოლიგარქისაგან. გაცილებით ნაკლებ ჩნდება ის საშუალო ფენებზე დაჭყრებული და მათი მონათესავე სახელმწიფოებიდან. ამის მიზეზების შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ მოგვიანებით, როცა შევეხებით სახელმწიფო გადატრიიალების საკითხს.

ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფოს საშუალო ფორმა არის საუკეთესო, რაღვან მხოლოდ მასში არა აქვს ადგილი აჯანყებებს იმის გამო, რომ ჭარბობს საშუალო კლასი და სადაც ჭარბობს საშუალო კლასი, იქ ნაკლებ აქვს ადგილი აჯანყებებსა და არეულობებს. დიდი სახელმწიფოებიც ამავე მიზეზით, ე.ი. საშუალო კლასის სიჭარბის გამო, არიან თავისუფალი აჯანყებებისაგან. პატარა სახელმწიფოებში კი ადვილია ორი მოწინააღმდეგე კლასის გაძლიერება ისე, რომ საშუალო კლასისათვის ადგილი აღარ დარჩეს და ყველანი ხდებიან ან ძალიან მდიდრები ან ძალიან ღარიბები. დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მყარი არიან, ვიდრე ოლიგარქიები და უფრო დღეგრძელნიც მათში საშუალო კლასის არსებობის გამო. ისინი დემოკრატიაში შეადგენენ უმრავლესობას და უფრო მეტად იყავებენ დიდ თანამდებობებს, ვიდრე ოლიგარქიაში. თუ არ არსებობს საშუალო კლასი, ღარიბები იმარჩვებენ თავისი სიმრავლით და მაშინ ადგილი აქვს ბოროტმოქმედებათა გაძლიერებას და სახელმწიფოც სწრაფად იღუპება. მაგალითისათვის შეიძლება დაგვისახელებინა საუკეთესო

პოლიტიკოსები, რომლებიც გამოვიდნენ საშუალო ფენებიდან, მაგალითად, სოლონი ამ კლასიდან იყო, რასაც მისი ლექსიც აღასტურებს, აგრეთვე ლიკურგე<sup>5</sup>, რომელიც არ იყო მეფე, აგრეთვე ქარონდე და სხვანი მრავალნი.

აქედან ცხადია, თუ რატომ არის სახელმწიფოთა უმრავლესობა ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული. უმეტეს შემთხვევაში ამ სახელმწიფოებში საშუალო კლასი წარმოადგენს უმცირესობას, რის გამოც იმარჯვებს რომელიმე უკიდურესი მხარე, ხან მდიდრები, ხან ღარიბები. ისინი, სცილდებიან რა საშუალო ფენებს, სახელმწიფოს განაგებენ საკუთარი ნებასურგილით და ასე წარმოიქმნება ან დემოკრატია ან ოლიგარქია. ამას გარდა, ღარიბ ხალხსა და მდიდრებს შორის წარმოიშობა ომი და აჯანყებები და რომელმა მხარემაც არ უნდა გაიძარჩვოს, ვერ ჰქმნის ერთ მთლიან და თანასწორ-უფლებიან მოქალაქეებისაგან შემდგარ სახელმწიფოს. გამარჯვებული მხარე იღებს სახელმწიფოს, როგორც საჩუქარს, და ჰქმნის ხან დემოკრატიას და ხან ოლიგარქიას. ამ ორი სახელმწიფოდან<sup>6</sup>, რომელთაც ვკუთვნოდათ ჰეგემონია საბერძნეთში, თვითეულს ჰქონდა საკუთარი წეს-წყაბილება, ხან დემოკრატიული, ხან ოლიგარქიული და ზრუნავდნენ არა ამ სახელმწიფოების, არამედ პირად კეთილდღეობაზე. ამის გამო ან სულ არ შეიქმნა საშუალო წყაბის სახელმწიფო, ან იშვიათად და მცირერიცხოვან სახელმწიფოებში. წინამორბედთაგან მხოლოდ ერთმა აღმაინმა<sup>7</sup> დაარწმუნა ხალხი შეექმნათ ასეთი წეს-წყაბილება, მაგრამ, თვით სახელმწიფოში უკვე არასებობდა ასეთი წევა, რომ არ სურდათ თანასწორობა, არამედ ცდილობდნენ ან სათავეში მოხვედრას, ან მოთმინებით იტანდნენ ჰესუსრომობას.

აქედან ცხადია, თუ რომელია საუკეთესო სახელმწიფო და რატომ. სხვა სახელმწიფოებიდან ზოგი მოვათავსეთ პირველ ადგილზე, ზოგი მეორეზე, რადგან ჩვენ ვთქვით, რომ ბევრია როგორც დემოკრატიული, ისე ოლიგარქიული სახელმწიფო. ამრიგად, წინ მოთავსებულნი უკეთესი იქნებიან, ვიდრე მოდევნონი და ალარ იქნება ძნელი იმის შემჩენეა, თუ რომელია მათ შორის საუკეთესო სახელმწიფო. ყოველთვის უკეთესი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც საუკეთესო სახელმწიფოს უახლოვდება, უარესი იქნება ის, რომელიც დიდად არის დაშორებული საუკეთესო სახელმწიფოსაგან. უნდა გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე მსჯელობს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით. "წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისში" მე ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა არსებობს სახელმწიფოსათვის მმართველობის სასარგებლო ფრონტა, მაგრამ უპირატესობას აძლევენ იმას, რაც პირადად მათთვის არის სასარგებლო.

რაოდენობას. ასეც შეიძლება ამის დადგენა. ღარიბ ხალხს და მაღალი თანამდებობებან ჩამოშორებულებს სურთ მშეიღობა, თუ მათ არავინ არ შეურაცხოფს და ქონებას არ ართმევს. ეს ადვილი არაა, რადგან ისინი, რომლებიც სახელმწიფოს მართვენ, ყოველთვის არ არიან პატიოსანი. ომის დროს ისინი ფეხს ითრევენ, ღარიბი ხალხი კი უას აცხადებს ომში წასვლაზე; თუ საკვებს არ მისცემენ, მაგრამ როგორც კი მისცემენ საკვებს, მაშინვე თანამანი არიან ომში მონაწილეობაზე. ზოგიერთ სახელმწიფოში მოქალაქეებად ითვლებიან არა შხოლოდ ისინი, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში მუშაობენ, არამედ ისინიც, რომლებიც წინად მუშაობდნენ. მაგალითად, მალაიელებში სახელმწიფოს მოქალაქეებად ესენი ითვლებიან, ხოლო სახელმწიფოს მმართველობაში იმათ იჩივენ, რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან. საბერძნეთშიც მონარქიის შემდეგ პირველი სახელმწიფო მეომრებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად ცხენოსნებისაგან, რადგან მაშინ ომში ძალა და უპირატესობა ეძლეოდა ცხენოსან ჭარს. შეიარაღებული ფეხოსნები კი წესრიგის გარეშე გამოისადეგნი იყნენ, ძველ ბერძნებს კი ტაქტიკაში გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომ უპირატესობა ცხენოსან ჭარს ეძლეოდა. მაგრამ როდესაც სახელმწიფო გაზიარდა და ფეხოსან შეიარაღებულ ჭართა მნიშვნელობამაც იმატა, მაშინ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამიტომ, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ პოლიტიკას, მაშინ დემოკრატია ეწოდებოდა. ძველი სახელმწიფოები ბუნებრივად იყნენ ან ოლიგარქები, ან მონარქები მოსახლეობის სიმკირის გამო, არ ყვდათ საშუალო კლასი დიდი რაოდენობით და რადგან ხალხი მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ ამჯობინებდნენ დარჩენილიფნენ ქვეშევრდომებად.

ამრიგად, უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ არსებობს სახელმწიფოების დიდი რაოდენობა, დასახელებულთა გარდა სხვებიც, მაგალითად, არსებობს დემოკრატიის არა ერთი, არამედ რამდენიმე სახე, ასევე სხვა სახელმწიფოები. ითქვა იმის შესახებაც, თუ რა განსხვავებაა მათ შორის და რა მიზეზით, აგრეთვე თუ რომელია მათ შორის საუკეთესო და რომელ ხალხს რომელი სახელმწიფო შეჰვერის.

## თავი XI

 ქვემოთ ჩვენ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა აქვთ საერთო და განსხვავებული ამ სახელმწიფოებს იმ პრინციპებზე დამყარებით, რაც თვითოეულ მათგანს შეესაბამება. ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი, რაც უნდა იცოდეს ჭელა კანონმდებელმა, უნდა იცოდეს აგრეთვე ის,

თუ რაა სასარგებლო თვითეული მათგანისათვის. თუ ეს ნაწილები წესრიგშია, სახელმწიფოც წესრიგში იქნება, სახელმწიფოს განსხვავება სხვა სახელმწიფოებისაგან ამ ნაწილების განსხვავებაზე დამოკიდებული. პირველი ნაწილია ის, სადაც წარმოებს თათბირი სახელმწიფოს საერთო ინტერესების შესახებ. მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფოს მმართველობას, რაც გულისხმობს მაღალი თანამდებობების ხასიათს, საკითხებს, რასაც ისინი წჟვეტენ და მათი არჩევნების ფორმას, თუ ვინ და ვისგან აწარმოებს მათ არჩევნებს. მესამე ნაწილი შეეხება სასამართლო საქმეების წარმოებას. სათაბირო ნაწილი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ომი და ზავი, სამხედრო კავშირების დამყარება და მათი დაშლა, კანონები, სიკვდილის განაჩენის გამოტანა და სამშობლოდან გაძევება, ქონების კონფისკაცია და პასუხისმგებლობის საკითხი. აუცილებელია, რომ ყელა ამ საკითხის გადაწჟვეტა გადაეცეს ან ყელა მოქალაქეს, ან ზოგს. მაგალითად, გადაეცეს რომელიმე ერთ მმართველ პირს, ანდა რამდენიმეს, ანდა ზოგი საკითხი გადაეცეს ერთს, ზოგი კი მეორეს, ანდა ზოგი საკითხი გადაეცემა მმართველობის მთელ შემადგენლობას, ან მის ნაწილს.

დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ყელა მოქალაქის მოხაწილეობა ყელა საკითხის გადაწჟვეტაში. სწორედ ასეთ თანასწორობას თხოულობს ხალხი. ყელა საკითხის გადაწჟვეტაში რომ ყელა მონაწილეობდეს, ამისთვის არსებობს სამი გზა: ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ იცავნ რიგითობას და მმართველობაში ყელა ერთად არ იღებს მონაწილეობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ტელევიზუალური მილეთელთან და სხვა სახელმწიფოებში. იქ ყელა მოქალაქე იყრიბებოდა, თათბირობდა და თანამდებობებს რიგ-რიგობით იკავებდა ფილების, პატარ-პატარა დაჯგუფებების და სხვა ნაწილების წარმომადგენლობა, სანამ ყელას არ მოუწვდა რიგი. ხოლო იყრიბებიან მაშინ, როდესაც საჭიროა კანონების, ან სახელმწიფოს საქმეების განსხვა, ან ხელმძღვანელი პირების ანგარიშების მოსმენა. შემდეგი ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ იყრიბებიან მხოლოდ სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ასარჩევად, კანონების განსახილველად, ომისა და ზავის საკითხების გადასაწჟვეტად, ანგარიშის მოსმენისათვის. დანარჩენ საკითხებზე კი მსჯელობენ ამ საკითხებზე გაპიროვებული ადამიანები, რომლებსაც ირჩევნ ყელა მოქალაქისაგან კენჭის ყრით, ან არჩევით. შემდეგი გზა: მოქალაქეები იყრიბებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ასარჩევად, მათი ანგარიშის მოსმენის და ომისა და სამხედრო კავშირების დამყარების შესახებ სათაბიროდ. სხვა საქმეებს კი წჟვეტენ ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც ირჩევნ მათი შესაძლებლობების შესაბამისად. ეს ის პირებია, რომელთაც მმართველობისათვის აუცილებელი ცოდნა სჭირდებათ. მეორე გზა: ყელა